ბრძანება:**ბ60.01221671**

თარიღი:**16/06/2022**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 ივნისის №5975362 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 ივნისის №5975362 ბრძანებით №01.19.39.026.008 და №01.19.39.026.029 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და 2022 წლის 10 მაისის №AR1896185 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ №01.19.39.026.008 და №01.19.39.026.029 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ საპროექტო მიწის ნაკვეთებს საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით არსებული გზის მხრიდან, თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად საზოგადოებრივი საზღვრები არასწორად დაფიქსირდა. ამასთან, არასწორად დაფიქსირდა ჩანაწერი უკანა ეზოსთან და მაქსიმალურად დასაშვებ სიმაღლესთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 ივნისის №5975362 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 ივნისის №5975362 ბრძანებაში და:

1.1. „საზოგადოებრივი საზღვრები”-ს ველში ჩანაწერის ,,აღმოსავლეთით არსებული გზის მხრიდან“ ნაცვლად დაფიქსირდეს ,,განისაზღვროს ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით არსებული გზის მხრიდან“.

1.2. ამოღებულ იქნას ჩანაწერი: „უკანა ეზო: დანართის შესაბამისად“.

1.3. „მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე”-ს ველში ჩანაწერის: განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრისა და უკანა ეზოს მხრიდან დაფიქსირდეს: „განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრების მხრიდან“.

1.4. სამსახურის 2022 წლის 15 ივნისის №5975362 ბრძანების დანართი ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანებაზე დართული დანართით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 ივნისის №5975362 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 ივნისის №5975362 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.


თეიმურაზ ბოლოთაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- შუნქციურ ზონებს შორის საზღვარი